

# Der Absprung

# ნახტომი

«Hörst du dieses merkwürdige Geräusch?» - fragte Krückh.

«Nein,» antwortete ich. Denn ich hörte kein merkwürdiges Geräusch.

«Irgendwas ist mit dem Motor nicht in Ordnung,» sagte Krückh.

Der Motor lief ruhig und gleichmäßig; zumindest schien mir das so. Aber vielleicht täuschte ich mich; denn mit Motoren und vor allem Flugzeugmotoren kenn ich mich nicht aus. Krückh ist da sicher kompetenter.

«Die Sache gefällt mir nicht... murmelte Krückh und legte die Rechte unentschlossen auf den Gashebel. Dann neigte er den Kopf wie fragend nach rechts und drehte am Steuerhorn. Der Horizont machte einen Schwung.

«Wenn der Motor explodiert, sind wir verloren...»

«Vielleicht siehst du alles zu schwarz?» versuchte ich ihn zu beruhigen. «Vielleicht ist der Motor in Ordnung? Hörst du, wie ruhig er läuft?»

«Ruhig nennst du das?» Krückh schüttelte den Kopf. «Wo hast du deine Ohren? Er kann jeden Moment explodieren...»

Mit einer entschlossenen Bewegung nahm er die Hand vom Gashebel und legte sie aufs Steuerhorn.

«Ich steig besser aus!»

«Wie du willst,» antwortete ich. Obwohl mir solches sehr ungelegen kam. Ich habe noch nie ein Flugzeug geflogen und werde sicher die größten Schwierigkeiten damit haben; und sollte mit dem Motor tatsächlich etwas nicht in Ordnung sein, so wüßte ich vollends nicht mehr, was ich tun soll. - Andererseits aber schien es mir nicht recht, ihn zum Bleiben zu überreden: Wenn er sich entschlossen hat, auszusteigen, so ist das seine freie Entscheidung, und ich habe kein Recht, mich da einzumischen.

«Du kannst ja versuchen, weiterzufiegen,» unterbrach Krückh meine Erwägungen.

„გესმის ეს უცნაური ხმაური?“ იკითხა ვრავლოვმა.

„არა,“ ვუპასუხე მე. რადგანაც არანაირი ხმაური არ მესმოდა.

„ძრავას სჭირს რაღაც „ თქვა ვრავლოვმა.

ძრავა მშვიდად და თანაბრად მუშაობდა. თუმცა იქნებ, არც მშვიდად და არც თანაბრად; მე ხომ ბევრი არაფერი მესმის ძრავების, განსაკუთრებით კი ავიაძრავების. მაინც ვრავლოვი უფრო კომპეტენტურია.

„რაღაც არ მომწონს...“ ჩაილაპარაკა მან და გაუბედავად დაადო ხელი აქსელერატორს. შემდეგ, ჩაფიქრებულმა თავი მარჯვნივ დახარა და საჭე ოდნავ დაატრიალა. ჰორიზონტი შეირხა.

„ძრავა თუ აფეთქდა, დავიღუპებით...“

„იქნებ ზედმეტად პესიმისტური ხარ?“ – ვცადე მისი დამშვიდება. „შეიძლება ძრავა წესრიგშია. აი ნახე, რა მშვიდად მუშაობს“.

„მშვიდად?“ – ვრავლოვმა გაკვირვებით შემომხედა. „შენ რა, დაყრუვდი? ნებისმიერ წამს შეიძლება აფეთქდეს!“

მკვეთრიმოდრაობითმანხელიაქსელერატორიდან საჭეზე გადაიტანა.

„უმჯობესია გადავხტე“

„როგორც გინდა“ ვუპასუხე მე. მართალია ეს საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში მაგდებდა. მე ხომ ჯერ არასოდეს ვმჯდარვარ თვითმფრინავის საჭესთან და, ალბათ, ძალიან გამიჭირდება თავი გავართვა ამ საჭმეს. ხოლო თუ ძრავას მართლაც რამე დაემართება საერთოდ აღარ მეცოდინება რა ვქნა. მაგრამ, მეორე მხრივ, ვთვლიდი, რომ არ იქნებოდა სწორი თუ მის გადარწმუნებას ვეცდებოდი. თუ მან გადახტომა გადაწყვიტა, ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა, და მე არ მაქვს უფლება ჩავერიო.

„შენ შეგიძლია სცადო და ფრენა გაგრძელო“ შემომთავაზა ვრავლოვმა.

«Ich will's versuchen,» antwortete ich.

Was blieb mir anders auch übrig? Aussteigen kommt nicht in Frage, ich bin noch nie mit dem Fallschirm abgesprungen und komm damit sicher noch viel weniger zurecht als mit einem Flugzeug; und zu alledem gab es an Bord nur einen einzigen Fallschirm.

«Vielleicht kriegst du das Ding heil runter,» sagte Krückh und klopfte mir aufmunternd auf die Schulter. Dann öffnete er mit einer energischen Bewegung die Tür und sprang hinaus.

„ვცდი“ ვუპასუხე მე.

მართლაც სხვა რა დამრჩენია? ვერ გადავხტები: ჯერ არცერთხელ არ გადავხტარვარ პარაშუტით და, ალბათ, მის მართვას უარესად შევძლებ ვიდრე თვითმფრინავის დამორჩილებას. თანაც, ბორტზე მხოლოდ ერთი პარაშუტი აღმოჩნდა.

„იქნებ მიწაზე მშვიდობიანად დაშვება შეძლო“ თქვა ვრავლოვმა და გასამხნეველად მხარზე დამკრა ხელი. რის შემდეგაც ენერგიულად გამოაღო კარი და გადახტა.

© Raymond Zoller  
[rzoller@klamurke.com](mailto:rzoller@klamurke.com)

რაიმონდ ცოლერი  
თარგმანი ელენე ნანიტაშვილი